

ვაშაძე: "შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა . . . საპროტესტო აქციები გაგრძელდება"



იმის მიუხედავად, რომ შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, ოპოზიცია მოღაპარაკვებების გასაგრძელებლად მზად არის. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გრიგორ ვაშაძემ განაცხადა, მართვერი გუნდი შეხვედრაზე მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ მოქალაქეების, ოპოზიციის და სტრატეგიული

მოკავშირეების მხრიდან სტრესს გრძნობდა, თუმცა კატეგორიული უარი თქვა იმ კომპრომისული შეთავაზების, რომელმაც ოპოზიციამ მოამზადა და 150-მა პარტიამ მოაწერა ხელი.

„ჩვენ დავადასტურეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა, თუ ამას მოინდომებენ ჩვენი მედიატორები და სტრატეგიული პარტნიორები, ჩვენ მეორე რაუნდსაც დავესწრებით. არ მივცემთ არასოდეს ე.წ. „ქართურ ოცნებას“ და მართვერი გუნდს იმის თქმის საშუალებას, რომ ოპოზიცია არ არის მზად საუბრისთვის.“

ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები არიან შუამავრები, ამიტომ მათ არ შეიძლება, ჰქონდეთ რამე შემოთავაზება გარდა იმისა, რომ ყველას სურს, საქართველოში იქნებ დამკვიდრდეს ნორმალური პოლიტიკური კურტურა, როდესაც იდეოლოგიური განსხვავებები არ არის სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობის მიზეზი.

რაც შეეხება სამართლებრივ არგუმენტებს, ეს არგუმენტები მოსმენიერი გაქვთ არაერთხელ ირაკრი კობახიძისგან ტერევიზიის მეშვეობით, სადაც მთავარი არგუმენტია, რომ არ მომწონს და ეს არ არის კონსტიტუციური. ის, რომ მორადური და პოლიტიკური ვადრებულება ჰქონდათ აღებული პროპორციული არჩევნების ჩატარების,

რასაც ახარგაზრდების ჯანმრთელობა და კინალამ სიცოცხლე შეეწირა, ამაზე არ საუბრობენ; ის, რომ ოპოზიციამ წინმსწრებად გადადგა კომპრომისური ნაბიჯი – ვთქვით, რომ კარგი, ვერ გაიტანეთ ან თქვენ თვითონვე რააგდეთ კონსტიტუციის შესწორება და არ იქნება პროპორციული არჩევნები, აგერ გთავაზობთ კომპრომისურ წინადადებას, რომელსაც არ სჭირდება კონსტიტუციის გადახედვა და გადასწორება“, – განაცხადა ვაშაძემ.

ამასთან, მისი თქმით, საპროტესტო აქციები გაგრძელდება.

სასტუმრო „ბირტმორში“ „ქართული ოცნების“ და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების შეხვედრა დაახლოებით 6 საათს გაგრძელდა, რომელსაც ასევე დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.